სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N16-1909/01

19 სექტემბერი 2016წ.

ქ. თბილისი

ერთის მხრივ შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია“ (ს/კ 404904458), წარმოდგენილი მისი დირექტორი გიორგი ღუღუნიშვილის სახით, შემდგომში (შემდგომში: „შემსყიდველი“) და, მეორეს მხრივ, ი.მ. ნოის ბიგანაშვილი (პ/ნ 01004006119), (შემდგომში – მიმწოდებელი), ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-10 მუხლის საფუძველზე, ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (შემდგომში – ხელშეკრულება) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, ყველა თანდართული დოკუმენტით.

1.2. ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელზედაც გაფორმებულია ხელშეკრულება და რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა, მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულების შემთხვევაში.

1.3. შემსყიდველი – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. მიმწოდებელი – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. დღე, კვირა, თვე – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.6. საქონელი – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მიმწოდებელი შემსყიდველს მიაწვდის 1 (ერთი) ცალ ელექტრო სასწორს (CPV კოდი: CPV38311000) (ქერის წარმოების პროექტის ფარგლებში (ახალქალაქში))

2.2. შემსყიდველი უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში, შესაბამისი თანხის გადარიცხვას მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, მიმწოდებლის მიერ ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს 130 (ორასორმოცდაათი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

4.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მოცულობაზე გაფორმებული მიღება - ჩაბარების აქტ(ებ)ის შესაბამისად, უნაღდო ანგარისწორებით ლარში, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულებისა.

4.2. ანგარიშსწორება ხდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის ან/და მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, პირობები და მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელმა შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული საქონელი უნდა მიაწოდოს, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი აგლაძის ქ. N7ა

5.2. შემსყიდველის მხირდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს თამაზ არველაძე.

5.3. საქონელი მიღებულად მიიჩნევა მხოლოდ მხარეთა მიერ შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტი გაფორმების შემდეგ, რომელშიც კანონით გათვალისწინებულ სხვა მონაცემებთან ერთად, მიეთითება მიწოდებული საქონლის რაოდენობა და ასანაზრაურებელი თანხა.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია შპს ,,მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანიას" მიაწოდოს წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული საქონელი, დაკვეთიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს ნივთობრივად უნაკლო საქონელი, დათქმულ დროსა და ადგილას.

6.3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირობებით.

6.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების

შესრულებაზე, რათა დარწმუნდნენ იმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ვარგისიანობაში და მის შესრულებული ვალდებულების შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7.3. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებენ შემსყიდველის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

8. ფასები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს, რომლის გაზრდა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9. დაუძლეველი ძალა (ფორსმაჟორი)

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ მათი შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით (ფორსმაჟორი). მისი არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, აცნობოს მეორე მხარეს მისი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოსვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9.3. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც

გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, (რაც შეუძლებელს ხდის ვალდებულების სრულ ან ჯეროვან შესრულებას), ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.4. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

11.2 უფლებების გადაცემა შემსყიდველის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში ფორმდება სამმხრივი წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

12.1. მხარეები ვალდებულებას კისრულობენ, აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი;

12.2 თითეული მხარე ვალდებულია დაკისრებული ვალდებულება შეასრულოს დადგენილი წესით, შეთანხმების ფარგლებში ამასთან, თითეულმა მათგანმა ხელი უნდა შეუწყოს მხარეებს ვალდებულების შესრულებაში. მხარე, რომელიც არღვევს ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა;

12.3 მხარეთა მიერ წინამდებარე შეუსრულებლობის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშელკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით;

12.4 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0.02%-ის ოდენობით;

12.5 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 10%-ის ოდენობით

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 5 დღით ადრე.

13.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელსხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) თუ მიმწოდებლის მხრიდან ადგილი ექნება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.6. ამ მუხლის 15.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

14. დავების გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და

დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

14.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოშობილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან, დავის გადასაწყვეტად მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

16. სხვა დებულებანი

16.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით.

16.2. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

შემსყიდველი:
შპს ,,მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია"
ს/კ 404904458

მის: მარშალ გელოვანის №6
<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>
ბანკი სს ,,საქართველოს ბანკი"
კოდი **BAGAGE22**
ა.ა GE53BG0000000343608000GEL

დირექტორი
გიორგი ღუღუნიშვილი

მიმწოდებელი:
ი.მ. ნოის ბიგანაშვილი
პ/ნ 01004006119

ქ. თბილისი, აგლაძის ქ. N 7ა
<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>
სს ,,პროკრედიტ ბანკი"

ა.ა GE89PC0223600100004894

ნოის ბიგანაშვილი

ქ. თბილისი 19 სექტემბერი 2016წ

მიღება-ჩაბარების
აქტი

ჩვენ, ხელისმომწერნი, ერთის მხრივ შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია“ (ს/კ 404904458), წარმოდგენილი მისი დირექტორი გიორგი ღუღუნიშვილის სახით, შემდგომში (შემდგომში: „შემსყიდველი“) და, მეორეს მხრივ, ი.მ. ნოის ბიგანაშვილი (პ/ნ 01004006119), (შემდგომში – მიმწოდებელი), ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“ ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველს მიაწოდა 1 (ერთი) ცალი ელექტრო სასწორი, მხარეთა შორის გაფორმებული 2016 წლის 19 სექტემბრის N16-1909/01 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე.

მხარეთა შორის 2016 წლის 19 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების N16-1909/01 ხელშეკრულების თანახმად, 1 (ერთი) ცალი ელქტრო სასწორის ღირებულება შეადგენს 130 ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით. შესაბამისად, მიწმოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 130 (ას ოცდაათი) ლარს საქართველოს კანონმდელობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

ამასთან, მიღება-ჩაბარების გაფორმების მომენტისათვის მხარეებს ერთმანეთის მიმართ რაიმე სახის პრეტენზია არ გააჩნიათ.

შემსყიდველი:
შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია“
ს/კ 404904458

მის: მარშალ გელოვანის №6
<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>
ბანკი სს „საქართველოს ბანკი“
კოდი **BAGAGE22**
ა.ა GE53BG0000000343608000GEL

შემსყიდველის წარმომადგენელი
თამაზ არველაძე

მიმწოდებელი:
ი.მ. ნოის ბიგანაშვილი
პ/ნ 01004006119

ქ. თბილისი, აგლაძის ქ. N 7ა
<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>
სს „პროკრედიტ ბანკი“

ა.ა GE89PC0223600100004894

ნოეს ბიგანაშვილი